



13  
1909

№ 31.

# შინაური სამშური

გვირა, ნომბერი 15, 1909 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კახეკათ.

აღრმისი: ქუთაისი „შინაური სამშურის“  
რედაქცია

ყოველკვირაული გაზეთი.

**შინაარსი:** ქუთაისი, 15 ნომბერი—ხელისა; ქართლის სამღვდლოებს—დიმიტრას მამილაშვილი; რას აკეთებს ბერი?—ალექსი ბერისა; რას ამობენ შესანიშნავი აკადემიური ბიბლიის შედგენა—ონ. მჭირისა; შიდა—ქაიხოსრო გილოვანისა; ბ გ რთაბაქის ლექცია—ხელისა; მგებარას იასონ კ—ძეს.(ლექსი)—იგიერიელი; მცირე შენიშვნა ბ. რამბოლას—დიმიტრას მამილაშვილისა.

ყოველკვირაულ გაზეთ

## „შინაურ სამშურს“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთაძო—კახაკოვას შესახვევაში № 17) და სუბსკრიბციაში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ჰ 50 კ.

გაზეთი ლეზულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

დარჩენ. მის ახალი ხელის მომწ. დაეთ. 1 მ. ჰ 50 კ.

ქუთაისი, 15 ნომბერი.

მას შემდეგ, რაც სემინარიელები გავგებუტენ და მღვდლობას ხელი ააღეს, საქართველოს ეკკლესიას გაუჩნდა ახალი საველალო დი. საზრუნავი საქმე—სამღვდლო კანდიდატების მოპოება. აქამდის თუ თბილისის და რამდენიმე ქუთაისის, სემინარია იძლეოდა სამღვდლო კანდიდატებს, დღეს ეკკლესია იძულებული შეიქნა წამოაყენოს უფრო დაბალი ხარისხის კანდიდატები სოფლის მედავი-თნეთაგან, რომლებიც ცოტა ხნის წინეთ ფიქრსაც ვერ ბედადენ მღვდლობაზე.

ეჭვს გარეშეა, რომ სემინარიელებმა ვერ გაამართლეს ის იმედები, რომლებსაც ეკკლესია ამყარებდა მათზე, როგორც საღვთისმეტყველო ცოდნით აღჭურვილ პირებზე. მათ თანამედროვე საერო ცრუ მეცნიერების მხრით დაუწყეს ყურება სარწმუნოებას, აბუჩად აიგდეს ეკკლესიის სხვა და სხვა დაღვენილობანი და ჩვეულებანი და თავის შეუფერებელ ყოფა-ქცევით ხელი შეუწყვეს სარწმუნოებრივ გულგრილობას. სემინარიელები დღესაც არ ფარავენ, რომ მათი მღვდლობა ძალდატანებულია, რომ იგიონი ამ თანამედრობისაგან მხოლოდ ცხოვრების სახსარს გამოეყოლიან. ასეთი მიმართულების სემინარიელები, მღვდლები

## ◆◆ სტამბა ◆◆

იმერეთის წმ. გიორგის სარწმ.-განმანათ.

## „მეობრისა“

ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირიშვილის სახლში, გუბერნატ. კანცელარიათა ქვეშ,

ღებულაბს ყოველგვარ სასცამბო საქმეებს

— სკლ-მისწავლამ დასკვნი —

ასრულებს სუფთად და თავის დროზე.



რა თქმა უნდა, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ემოვნათ, მეტი აედოთ, რომ საეხებით დაეკმაყოფილებიათ თავის გაუმადლარი მადლები, თანამედროვე ცივილიზაციისაგან აღძრულნი და დაუკმაყოფილებლნი. ხალხი კარგად ხედავდა ნასწავლ სამღვდლოების ასეთ მიმართულებას, ხედავდა, რომ იგი არაფრით არ განირჩეოდა ძველ სამღვდლოებისაგან, რომ არაფერი ახალი შრომა მას თავს არ უდევია და მისი შენახვა კი გაცილებით ძვირად უჯდებადა. აი სად ძვეს მაზეზი ხალხის აზნებდრებისა სამღვდლოების წინააღმდეგ; მას თვით მღვდლობისთვის კი არ უყვია უარი, როგორც სამღვთო დადგენილებისათვის, არამედ უარი ჰყო თანამედროვე ბინძურ სამღვდლოების გაუმადლარ მოთხოვნილებას, რომლის ფასსაც იგი არაფერს აკეთებს მრევლისათვის.

ასეთი შედეგი გამოიწვია სემენარიში კურს დამთავრებულმა სამღვდლოებამ, რომელმაც თავის მაგალითით, გაიტაცა ძველი სამღვდლოებაც, რო მელიც მცირე შრომასთან მცირე შემოსავალსაც ჯერდებოდა. დღეს ყველა იმას გაიძახის, როდის დაგვეწინება სახელმწიფო ჯამაგირიო და იმაზე ერთიც არ ფიქრობს, თუ როგორ გაამართლოს თვისი არსებობა, რა სარგებლობა მოუტანოს ერს სარწმუნოების მხრით, რა სინათლე შეიტანოს გლეხის ჩამობნელებულ ქოხში, გარდა ჩვეულებრივი მღვდელ მოქმედებისა, რომელსაც ხალხი მხოლოდ მექანიკურად ჩვეულებრივად და შეუფხვებლად ასრულებს. თუ იესო ქრისტე ღმერთია და მისი სიტყვა შეურყეველი კეშმარიტება, მშრომელს ყოველთვის მიეცემა საშრომელი; ჯერ კი სამღვდლოება მას იმკის, რაც დაუთესია.

ამის შემდეგ რას დაჰკარგავს საქართველოს ეკლესია, თუ მას დღევანდლისებური განათლებული სამღვდ-

ლოება არ ეყოლება? სხვა საქმეა ეს სამღვდლოება რომ კეშმარიტი მორწმუნე იყოს ისე, როგორც კათოლიკეთა სამღვდლოება, რომელიც ძლევა-მოსილად უმკლავდება სარწმუნოების და ეკლესიის მტრებს. ჩვენი დღევანდელი განათლებული სამღვდლოების სცენიკადან გადადგომა. სრულებით შეუშინეველი დარჩება საზოგადოებისათვის და ეკლესიას ერთი იოტისოდენი არაფერი მოაკლდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკლესია გულხელდაკრეფილი შეყურებდეს ამ გარემოებას. მას თუ სიკვდილი არ უნდა, უნდა ეცადოს წამოაყენოს ღირსეული წინამძღვრები, ღირსეული სამღვდლოება.

დღეს რომ ჩვენი ეკლესია ავტოკეფალური იყოს და საშუალებაც ხელს უწყობდეს, სამღვდლოების განახლება, მის სასურველ ნიადაგზე დაყენება ადვილი საქმე იქნება მისთვის; იგი ამ ზომამდისაც არ მიიყვანდა საქმეს და ადრევე შეეცდებოდა მის მოწესრიგებას. მაგრამ ამ წუთში, როცა ჩვენი ეკლესიის მთავარნი წარმონაღვენელნი მხოლოდ პოლიტიკური როლს თამაშობენ, მხოლოდ პოლიტიკური აგენტები არიან, როცა სარწმუნოებისთვის არავის ცხელა და არც დრო აქვს მისი მდგომარეობა ასწონ დასწონოს, საქმე მწვავედება და საბოლოოდ ფუჭდება.

ვინ არის ამ დროს პატრონი ეკლესიისა, ვინ უნდა გაუძღვეს წინ მის საქმეს, ვინ უნდა იზრუნოს მის აღდგენისა და აღორძინებისთვის? ქართველი ეპისკოპოსი და მორწმუნე შეგნებული სამღვდლოება — აი ვინ უნდა იყვნენ მზრუნველნი, რომ ეკლესიას მოუძებნონ, ეკლესიას მისცენ მწყემსნი კეთილნი, მოძღვარნი სახიერნი და თავდადებულნი. ამათ უნდა გამოსძებნონ საშუალება უთილ მოძღვართა აღდგენისა, ამათ უნდა გამოინახონ სახსარიც ნივთიერი და ზნეობრივი ასეთ მოძღვრების წამოსაყენებლად.



სხვა რამეზე ფიქრი, სხვა რამეზე აზროვნება და ზრუნვა დღეს დღეობით მეტია, საქირთა მხოლოდ ერთი, რომ ეკლესიას მიეცეს სასურველი მოძღვარნი და ხელმძღვანელები. თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, რომ ამ საქმეში ჩვენ არავინ დაგვეხმარება, თავზე არავინ ხელს არ მოგვისვაშს. არც საქირთა, რადგან სხვის ძიძა-ლოლიაობას არავინ გაუბედნიერებია, მხოლოდ მიუძინებია ტკბილი ოცნებებით, რომ შემდეგ გაეღვიძებია მწარე სინამდვილეში უკვე ყოველ ღონისძიებას მოკლებული, ღონე მიხდილი და დაბეჭავებული.

ველით სამშობლო ეკლესიის მღვდელმთავართა და გულწრფელ მღვდელთაგან ამ საკითხის განმარტებას და სასურველად დაბოლოებას, სადიდებელად ღვთისა და სასარგებლოდ ერისა.

ხელი.

### ქართლის სამღვდლოებას.

„სად ხარ შენ, ქართლის მრევლის მღვდლო?“—ასეთი კითხვით დავაპოლავე ამას წინეთ ერთი ჩემი წერილი\*) და ესლაც იგივე კითხვა მიღება თელ წან მთელი მისი სიფართოით, სიგმე-სიგანით და სიღაღით. მართლა და სად არის ქართლის სამღვდლოება, რას ემსახურება იგი? რატომ არ ვგრძნობთ მისი მაჯის ცემას? რატომ არ გვემისი მისი ხმა? რატომ არ ვხედავთ მის საღმრთო მოქმედებას? რამ მიგავა და წაშალა ამ სამღვდლოების გაფლენი კვალი ქართლის მკვიდრთა ზნეობრივ ცხოვრებაში?\*

მართალია, ქართლში ღიდრონი მრევლები, ზოგ-ზოგი დაფინტულიცაა საქმოდ ღიდ მანძილზე, მაგრამ მღვდლების რიცხვი მაინც არა მცირედა, მღვდლები გვაკლიაო,

\*) იხ. „შინ. საქ.“ № 28.

\*\* ჩვენ სახეში არა გვეყვს სრულებით თბილისის სამღვდლოება, რადგანაც იგი არც ქართულია და არც ქართველი.

ამას მაინც ვერ გაიგონებთ ხალხში. სალაბარაკოდ და საჩიველად ის გახდამოი მრევლს, რომ ეს ამოღენა მღვდლები და მღვდელთნებები მხოლოდ სკამენ, სმენ, სძინავთ და ცდილობენ, რაც ძალი და ღონე შესწევთ, საყსებით აღასრულონ მცნება აღორძინებისა და ჩამომავლობის შესახებ. ეს არის და ეს; ამას იქით მათი მოქმედება აღარ მიდის, ამაზე მეტი არა ახალისებთრა, ამითი საზღვრავენ თავიანთ არსებობის მიზანს, ამაში ხედვენ თავიანთ სიცოცხლის აზრს, ეს დაუსახავთ მათ ქვეყნის სამსახურად.

გული გვიცვება როდესაც გვემისი ასეთი მსჯელობა ქართლის სამღვდლოებაზე, სისხლი გვეთოშება ძარღვებში, როდესაც სინამდვილის აღმბეჭდელი ცხოვრების სარკე ქართლის მღვდელს გვიხატავს უფრო ცხოველად, ვიდრე ღვთის ხატად და მსგავსებად, მაგრამ რას იზამ, სინამდვილეს სად გაექცევი, როგორ შეგიძლია მშვენიერებად წარმოიდგინო ის უმსგავსება, რომელიც ცხვირ წინ გიღვია და, შენს გარდა, ათასი სხვა თვალი ხედავს მას?.

კაცი იმდენადაა კაცი და ადამიანი, რამდენადაც იგი შეგნებული და გონება განვითარებულია, რამდენადაც მკოდნე და გამჭიარება.

შევეხოთ ამ მხრივ ქართლის სამღვდლოებას.

რამდენად განვითარებულია ქართლის სამღვდლოება გონებით? რას კითხულობს იგი? რითი საზრდოობს სულიერად წლითი წლამდე? რას ხარჯავს იგი წლის განმავლობაში გონების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად? რამდენად მძღვარია და რა ალავი უქირავს მის ცხოვრებაში ცოდნა-განვითარების შექმნაზე ზრუნვას?

მიბრძანდით ქართლის სამაზრო ქალაქებისა და დაბების ფოსტა-ტელეგრაფის სადგურების უმფროსებთან, გადაათვალიერეთ გულდასმით მათი დაფორტის შეფაროვეთ ნამდვილი ცნობები ფოსტის მოხელეებში, ნუ დასტკოვებთ უუურადღებოდ მეტრე-მედილიონებესაც, თუ გნებავთ, და თქვენი ღამაზი



თვალი დაგანახებთ, რომ ას მღვდელში მარტო ოთხს ან ხუთს მოდის ჟურნალ-გაზეთები და ახალი წიგნები. ამ მიკროსკოპიულ გამოჩენისის გარდა მთელი სამღვდლოება ქართლისა მოწყვეტილია გონების მასაზრდოველ ყოველ ძალას და წყაროს, სამღვდლოების დიდ უმრავლესობას მწერლობა და ჟურნალ-გაზეთობა წარმოუდგენია წასაწყედ, გამრყენელ და ავსაქმედ, უმეტესობას ბოსლის ხვეტა მეტად ეხალისება, ვიდრე წიგნის კითხვა და ცხენის მოვლა უფრო საქიროდ მიიჩნია, სინამ გონების ვარჯიშობა და ცოდნის შეძენა, ქართლის სამღვდლოების წლიურ ხარჯის აღრიცხვაში, გარდა სულ მცირედი განიანაქლისისა, თქვენ ვერ შეხედვით ვერც ერთ გროსს, დანიშნულს გონების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საშვალეებათა მოპოებისათვის.

გამოცდილებით ვიცით, რომ თუ კაცი მუდამ არ ვარჯიშობს გონებით, თუ იგი მუყაითად არ მეცადინობს ზოით განვითარებისათვის, დაუჯივრებელივ ექნება უმეტესობის უფსკრულისაკენ და სულ მცირე ხნის განმავლობაში ეკარგება წინათ შეძენილი ცოდნა განვითარება. ამის შემდეგ ადვილი წარმოსდგენია, რა დაბად ღონეზე უნდა იდგეს ქართლის სამღვდლოების გონებრივი განვითარება, რა — ზომ წყვილი ადით და სიბნელით უნდა იყოს მოცული იმ მღვდლებს გონება, რომლებიც არც კურთხევამდე ყოფილან მაინცა და მაინც განსაკუთრებით განვითარებულნი:ღ არც კურთხევის შემდეგ მოპოვნებით იგი.

რა უნდა შესძინოს ასეთმა სამღვდლოებამ ერს? არაფერი, გარდა ენებისა. თუთ უფიცი და ქუუა ბნელი, ქართლის მღვდელი იხე ატარებს მრველში ოცდაათს ორმოც წელს, რომ უბრალო წყარა-კითხვის შეძენის სურვილსაც ვერ უდევძებს სამწყსოს. ამ მხრივ რომ ცოტადენი უნარი მაინცა გამოეჩინა ქართლის სამღვდლოებას, არც ისე ჩამორჩომილი და გონება ბნელი იქნებოდა დღეს ქართლელი სოფლის მკვიდრი. თითონ უფიცი და შეუხვენელი, ქართლის მღვდელი არასოდეს არ მოძღვრის, არ ასწავლის ხალხს მისა-

ხვედრი ერთ ქრისტეს სჯულს და ამის გამოა, რომ ქართლელი ყველა გაქირებაში და მწუხარებაში გარბის უხურო მკითხავთან, უგუნურობს ლოკვაში — „ღმერთო წმინდაო გიორგი შენ შემეწიე“, ვერ გაუჩვენია მღვთის-მშობლის ხატი მაცხოვრის ხატისაგან და სხვ. შემდეგი პატარა სურათი, უმეტესად გოდმოწერილი ცხოვრებიდან, საკმარისი მკვერ-მეტყველებით ააშკარავებს ქართლის სამღვდლოების ზნეობრივ აზარაობას.

მიცვალეზულს მისვენებენ სისაფლათზე; კუბოს წინ მიუძღვის მღვდელი თავისი ღია-კენით ღიაკანი გალობს „წმიდაო ღმერთო“ — ს მუხლ მუხლად; დაათვა პირველი მუხლი და შედგა რამდენიმე წამით შესასვენებლად, მღვდელი სარგებლობას ღიაკნის სიჩუმით და ხანხევირი ხმით ეკითხება მას — ტატო, (სახელია ღიაკნის) სხვილი საკლავი ჰყავთ რამე, თუ მარტო წარლობაზე აპირობენ ვადატარებან? — ისეთი ბერწი ძროხა უყიდათ, რომ იმისი სულების ქამით ვერ ვაძლევა ადამიანი; წუხელის ჩემი თვალითა ვნახე ძროხა, უხასუხებს მედავითანე; შემდეგ ათავებს გალობის მეორე მუხლს და ისევ ჩერდება, რომ ქარი აპილიოს. მღვდელი არ ჰკარგავს დროს და ხელ ახლა მიმართავს ღიაკანს: — ღინო, ბიკო, თავიანთი აქეთ, თუ იყოდეს ვისგანმე? — შინაცა ჰქონიათ, მაგრამ საპატო პირებისათვის ფერდ ვაბერილა მიკიტნისაგან უყიდათ ორი კოკა. — თეთრია თუ წითელი? თეთრი. ვარგა რამე? — არა უშავსრა, დაილევა, დილას ქაშნიკი გავწინე. ღიაკანი გალობის მესამე მუხლს ათავებს და ჩვეულობისამებრ ჩერდება. — ბუკის და თავფხვის შესახებ ხომ ყველაფერი უთხარი, ბიკო, მიცვალეზულის პატრონებსა, ეკითხება ისევ დაბალი ხმით მღვდელი პირჩეტნიკს. — მაშა შედლოცვლო, მაშ არ ვეტყვი! შენი წილი და ხვედრი ყოველთვის წინდაწინვე უნდა იყოს მზათ. — ფულათ, ტატო, რამდენს გვიწადებენ? — მაგისი რა მოვასხნო, ბუკი ვეტადე, მაგრამ ვერაფერს ვავხდი და დანამღვდლებით ვერა შევიტყუერა... აი რა საგნების გარშემო ტრიალებს ქართლელი მღვდლის გონება ისეთ სერიოზულ მომენტს,



როგორც არის მიცვალებულის დასაფლავება! ახლა წარმოიდგინეთ, რომ ასეთ მღვდელს სუფრაზე შეუფერხლავ უკავია თავი, კიქის მაგივრად ჯამს ან ჯიხვს თხოვლობს, სახიზლრათ ითრობა და უტყველად დამეთა ხმებით, რომ ასეთი სამღვდელთა ხალხის გულს ვერ მოიპოვებს; ხალხი სრულებით გასამტყუნარი არ არის, რომ ამ გვარ სამღვდელთა დასცინის, მასხარად იღებს, არაფერს ეპუება, და უზრდელად ეტყევა

რამი უნდა ვეძიოთ ქართლის სამღვდლოების ასეთი საარაკო დაქვეითების სათაური?

იმაში რომ ქართლის სამღვდლოების მოუხსეს ხელმძღვანელი, ქართლის სამღვდლოების წაართვეს შეგნებული მეთაური, ქართლის სამღვდლოება ვედარ ხელავს თავის შემრისხველ და შემწყალებელს, მოკლეთ—ქართლის სამღვდლოებას აღარ ჰყავს მღვდელმთავარი. მღვდელმთავარს დიდი ალაგი უქირავს ეპარქიის სამღვდლოების სულიერ ცხოვრებაში; მღვდელმთავარის მიმართულება, მისწრაფება და ლტოლვილება უშუალოდ გადადის ეპარქიის სამღვდლოებაზე, როდესაც მღვდელმთავარისა და სამღვდლოების შორის სუფევს ნორმალური ურთიერთობა. ჩვენ შეგვეძლოს ეს აზრი დავემტკიცებოთ და დავგვესაბუთებოთ მსოფლიო ეკლესიის ისტორიიდან ამოღებულ მრავალ მაგალითებით, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე შორს წასვლა არა გვჭირდება. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ჩვენთვის თითონ ჩვენი ეკლესიის მახლობელი წარსული. გავიგებინოთ, მაგალითად, სამართო მდგომარეობა იმერეთის ეპარქიის სამღვდლოებისა განსვენებული გაბრიელის დანიშვნამდე იმერეთის კათედრაზე. ეს მდგომარეობა არაფრით არ განსხვავდებოდა ქართლის სამღვდლოების აწინდელ მდგომარეობისაგან. მაგრამ რაკი ნეტარხსენებული გაბრიელი პირადად დიდად მოწადინებული იყო ხალხში განათლების, მწიგნობრობისა და ქრისტეს სკულის გავრცელებისა და ამ თავის მისწრაფებას, თავის გულის აზრს, თავის სულის წყურვილს დღე მუდამ აგონებდა ხელქვეით

სამღვდლოებას, ამ უკანასკნელზედაც გადავიდა მღვდელმთავარის მიმართულება. ეს მოახერხა ყოვლად სამღვდლო გაბრიელმა უპირველესად თავისი სიტყვიერი მოძღვრებით. წარმოუდგენელია. რომ გაბრიელთან მისულები ყო იმერელი მღვდელი, ამ თითონ გაბრიელი მისულები მღვდლის ოჯახში და მაშინვე არ გაეგო რას კითხულობს ეს მღვდელი, როგორ იტყევა მრევლში, როგორ მწყის თავის სულიერ შეილებს, როგორ მასწავლებლობს სკოლაში და სხ. არ გამოვიდოდა ქართულ ენაზე სარწმუნოებრივი შინაარსის წიგნი, რომ გაბრიელს ვალად არ დაედგინა თავისი მღვდლობისთვის მისი შეძენა, ვერავინ ვერ მიიღებდა მისგან მღვდლობის ხარისხს, თუ შეგნებით არ შეითვისებდა სამღვდლო საგნებს და ამასთან ერთად თუ წინდაწინ თავს არ გამოიჩენდა სკოლის გახსნითა და წარმოებით. წელიწადში რვა თვე ცხოვრების გადაღებული ჰქონდა სოფლებში სისიარულოთ, რომ თავისი საკუთარი თვალით ენახა მღვდლის ცხოვრება და საქციელი, შეეგნო მისი მიმართულება, გაეთვალისწინებია მისი შრომის ნაყოფიერობისა თუ უნაყოფობის მიზეზი და ყველა ამავის მიხედვით გასამხნევებელი გაემხნევებინა და დაეჯილდოებინა, ხოლო დასასჯელი დაესაჯა და დაეტუქსა. როგორც ვთქვით, სამღვდლოებამ გაუგო თავის მღვდელმთავარს გულის პისუბი, სიამოვნებით მიეგება მის ნათელ სურვილებს და მაგრა ჩასქიდა ხელი როგორც თავისთავის განვითარებას, ისე ხალხში ცოდნის მოფენის საქმეს. იმერეთი მოკლე დროს განმავლობაში დაიფარა საეკლესიო სასწავლებლების ხშირი ბაღით, იმერეთის ცრი ხალხით დაეწიდა თავისი სამღვდლოების ხელმძღვანელობით წიგნს და, აი, ამ გარემოების შედეგია, რომ იმერელი გლეხი დღეს ასე მაღლა სდგას ქართულ გლეხთან შედარებით, თუმცა ეს უკანასკნელი არც ნიკით, არც გამპრიახობით, არც გამსჯელობით ატანით და უნარით არ ჩამოუყარდება პირველს.

ჩვენ გუნდრუქს არ ვუკმევთ იმერეთის სამღვდლოებას; არა, მას ძალიან ბევრი გა-

საკიცხი და დასაგმობი თვისებები აქვს, მაგრამ განსვენებული გაბრიელის კეთილი გავლენის გამო რომ ის დღეს გონებით უფრო ფხიზელია და ხალხში განათლების, შეტანის ეტრფის, ამის უარის ყოფა არ შეიძლება.

იმერლები ქართლშიაც ბევრი მსახურობენ მღვდლებად და მეღვინეებად, მაგრამ არაფრით არ გაიჩრვიან ქართლელი მღვდლებისა და მეღვინეებისაგან. ესეც კიდევ ახალი საბუთია ნათქვამისა, რომ მღვდელმთავარს დიდი გავლენა აქვს სამღვდლოების მიმართულების ავ-კარგინობაზე. ქართლში დღეს საქმე ისეა დაყენებული, რომ მღვდელი მხოლოდ ხელდასხმის დღეს ხედავს თავის მღვდელმთავარს; მე განვებ ვხმარებ სიტყვას „ხედავს“ მეთქი, რადგანაც მღვდელმთავარი და სამღვდლო მარტო გარედან უყურებენ ერთი მეორეს, თორემ მღვდელმთავარი სრულგებობაც არ ცდილობს გაიცილოს ნაკურთხი, შეიტყოს მისი სოფლმხვეველობა, აზრადც არ მოსდის, რომ გაატანოს მას სამოქმედო პროგრამა და სხ. ნაკურთხიც თავისი მხრით ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა დაახლოს თავი ქალაქს და მერე თითონაც კარგად იცის, რომ სიკვდილამდინ თავისუფალი იქნება, მის მრევლში მღვდელმთავარი არას დროს არ მივა, არას დროს არ შეაწუხებს მას მიწერილობით, იმეცადინე, განვითარდი, შეიძინე ცოდნა, ესა და ეს უურნალ-გაზეთები გამოიწერე, შკოლა გახსენიო და ამისთანები.

მარტო მრევლისგან ატეხილი საჩივარი თუ გაახსენებს მღვდელმთავარს ქართლის მრევლის მღვდლის არსებობას, თორემ უამისოდ იგი არავის არ ახსოვს და არავის არ აგონდება ტყეში გადგებული უბატრონო საქონელისაგან. ასეთ პირობებში მღვდელი ცეცხლს, გონება უჩლუნგდება და სწყდება ქვეყნიერობას. კონდაკისა და კურთხევანის გარდა მისთვის აღარა არსებობს რა; წესების შესრულება მისი აზრით—მღვდლობის უმაღლესი მოვალეობის აღსრულება.

ამის შემდეგ, რაღათ უნდა გვიკვირდეს, რომ აგერ ორი წელიწადი სრულდება, რაც ქართულ ენაზე გამოდის ერთად ერთი სასუ-

ლიერო ორგანო „შინაური საქმეები“, და ქართლის სამღვდლოებას ჯერ არ გაუგია ეს ამბავი! რამდენი საგულისხმო რამ გარიგდება კიდევ სამღვდლოებისათვის, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ ამას მიინც ვერ გავიგებს და ვერ შეიტყობს ქართლის სამღვდლოება!

სავალალოა ასეთი მდგომარება.....

სად ხარ შენ, ქართლის სამღვდლოება?  
დომიტრას მაიდაუელი.

## რას აკეთებს ბერი?

(დასასრული)

და თუ ვისმე ეთვალ-დვირება ჩვენი დასში საგნის უღირსად ტარება, ვე საერთო სენია არა საგნისა, არამედ საგნის შეუგუნებლობისა და უღირსად ხმარებისა, რომლის შეუგუნებლობა—უღირსად ხმარებამ, მარჯალია, დაინა საიწუხარო კვალი სიბნელისა ჩვენი თანამედროვე ბერობისა და აღადგინა ძმანი მღვდელთა. დიხ, დიწყო თუ არა ახალთაობის მოძრაობა, წამოყო თავი სხვათა შორის ბერების დევნა მოსპობის მიმართულებამ. ყოველ დაკვირვებულ ბერების მკოდნეს შეეძლო წინასწარ ეცნა, რომ აუცილებელი იყო ეს მოვლენა, ახლანდელ ბერთა უმრავლესობის არა ღირსად ხარისხის ტარების გამო. დაურღვეველი სიმატლეთა, რომ ჩვენი ბერმონაზვნებს გვდევნის ამპარტაუნება და ანგარება. ვნებავსა დამტკიცება? სოვსპოთ დიდების მოყვარება და ანგარება და მოისპობა ჩვენი დევნაც. მთავარი მიზეზი ჩვენი დევნისა არის ჩვენივე ანგარება და დიდების ძიებით ერული მოქალაქობა, რამაც გამოიწვია შეურაცყოფა ესრეთი მაღალ საპატიო საგნისა, როგორც არის ბერობა. ეს საგანი, პირველ რიგა წარმოიშვა გონიერების სალოადან, იყო ნაყოფი სპეტაკ გულის-ხმის ყოფისა, რომელმაც გამოუტყდა პროტესტი მსოფლიო ამოებას, რომელსა შინა გონების უპირატესი დანიშნულება თავის განწმედისა, დიდ ბუნებოვანებით სულის ამაღლებისა და საიდუმლოთა შეგნებისა, ცნა რომ ძნიად საპაუნდო იყო და ისწრაფა ლტოლვად ანგარებისა და დიდ-



ბის მოყვარებისაგან. აი ის საღმრთო ცეცხლი, რომელმან წარმოაშუქა ბერობის იდეა, უმაღლეს მსოფლიო მხედველობისა, რაოდენად შესაძლოა დამზავდეს ანგელოზებრივ მოქაქობისა. ესრეთი საღმრთო გეგმის ნათელი ნაკადული მრავალ საუკუნეთა განმავლობით ბრწყინვალედ რწყავდა ადამიანობას. მაგამ ვითარცა ჟამითი ჟამით მოაკლდების ყოველთა ახსთა შედგომილობასა, ეგრეთ სულიერსა აშის გვაშა ბერობისსა მოაკლდა ცეცხლი იგი საღმრთო და შემდგომითი შემდგომად მიიღო უმაღლეს მოხარისხეთა შორის მეფის სამეფულ საპოლიტიკო თვისება და იწყო ზეცის მოქალაქემ საერო მოქალაქობა, სადაც დასჭირდა მის ყალიბი თავის მოყვარეობით დიდებულსა და ანგარებისა მოვაკრება, ასე ათასობა. ახანე ფულგენის დაუნჯება, რომლებთა წყალობით მოედვა სენად მთელ ბერობას შემბრკოლება, და აი ასეთი უკუღმართ ფერის ცვალებამ სამღრთო გზის გადაცილებაში, ქრისტეს მოძღვრობის დავწყება, დიდ-ჯამაგირების და ჩინე ბის ძებნამ გამოუცხადა ბერობას ზოზლი და აღამხედრა ძმანი მღვენელად ჩვენად.

ეს ასეა, მაგრამ ნუ თუ ღვარძლისათან იქვლიცა აღმოფხვრათ? ნუ თუ გარეწარად ხარისხის მატარებელ ბერების ძლით სულიერ სიმაღლით სახელოვანი ბერების ღირსება დავფლათ მწვირეში? დიდ უგულისხმობად მიმარჩია სწორე სავნის სიღიადის აბუჩად ავდება და ზოგ-ვინმე უღირსად მატარებელ ბერების ძლით სავნის ფებ-ქვეშ დათრგუნვა. სხვა არის სიღიადე სავნისა და სხვა არის ჩემ-განთ მისი უღირსად ხმარება. ავიღოთ სწავლა-განათლება—ეგ მნათობი კაცობრიობისა, გარნა რავდენი ნსწავლი პირები იქცევიან საზოგადო სიბოროტეში მრავალთათვის დასაბრკოლებელ ავ-ზნეობით და ნუ თუ მისი ძლით ვდევნოთ სწავლა განათლება?

ნუ, საყვარელნო ძმანო, ნუ ვიხედებით ცალთვალათ ვიწრო ფარგალში, არამედ უფროსად გაფართოვებულ და ღრმად მშოთლფერსე თვლით გადახვებოთ ქვეყნიერობას, ადამიანობას... დეთარ სიბრძნით შეხამებულ მრავალ სახეთა ფეროცნებას და ესრეთ აღვა-

მალლოთ გონება ჩვენი ქვემთრევე გრძნობათაგან, შურით და სიძულადით ერთ მანეთის შეურაცხყოფისაგან და ვიკმნეთ ძენი მალღისანი—ძენი ნათლისანი ერთ სამწყსო სიყვარულისა-

ალექსი ბერი.

**რას აზოგზენ შესანიშნავი აღამიანები ბიბლიის შესახებ?**

ო. ჟადოვისი.  
(იხ. „შინ. საქმ.“ № 30.)

ცნობილი პროფესორი მ. ნ. პეტროვი (†1888 წ.) თვის ნარკვევში „სახარება ისტორიაში“, როცა ამბობს ქვეყნიერობის ცივილიზაციებზე ქრისტიანობის გავლენის შესახებ შენიშნავს სხვათა შორის: „სახარება არ ატარებს არც ადგილობრივ, არც ტომობრივ ხასიათს. გრძნობადი და ნივთიერი შთაბეჭდილებიდან კი არ ღებულობს იგი თავის დასაწყისს. არამედ ზეგარდამო სულიერი განათლებისაგან... სახარებამ ყველგან ხალხთა შორის მოქმედი სიყვარულის და სულიერი ძმობის ჩაგონებით საბოლოოდ და მტკიცედ დაამყარა იდეა მსოფლიო და დაუღვეველ მომავლიანი ცივილიზაციისა და შესაძლებელი გახდა ის ძმური შრომა საერთო სასარგებლოდ, რომლითაც შეკავშირებულა დღეს შორეული მარტები და ფრიად სხვა-და-სხვა ტომი კაცობრიობისა.

სახარება არა თუ წინააღმდეგი არაა წინსვლისა, როგორცადაც ოდესმე შეიძლება. სჩანდა საშვადლო საუკუნის ფრანგ სამღვდელოების თავის სასარგებლო თარგმანში, პირითეს შეიცავს თვის შორის წინსვლის ყველა თვისსა და პირობას. ღვთის სიმაართლის მგლოვარე ხალხს უღირდა მხოლოდ გამოეტაცა უღირს ხელებიდან წმიდა წიგნი—, და ჩქარმა კაცის გონების წარმატებამ მე XVI საუკუნიდან, მაშინვე დაუმტკიცა ქვეყანას მაღალი განმანათლებელი მოქმედება სახარებისა“<sup>1)</sup>

<sup>1)</sup> Евангеліе въ исторіи М 1900 г. ст. 19, 27, 30.



გეოგრაფიკული მოიხსენიებით დიდებული ახალი გეოგრაფი აკადემიკოსი კარლოს რიხტერი (1779—189), რომელიც მდებარე პატივისმცემელი იყო ბიბლიის ფურცელთაგან მანათობელ კიურ სნათლისა. მას ყველგან თან დაქონდა უბის ბიბლია. განსაკუთრებით შესანიშნავ ადგილებს ხაზს ავლებდა და ან უდის საბურავზე სწერდა. ამ ამონაწერების ბოლოს სწერია: „ტყუილად კი არ მოგსულვარო ამ ქვეყნად, სადაც ვმწიფდებით სხვანაირის ქვეყნისათვის“<sup>2)</sup>

დავასახელოთ ზოგიერთი სამართლის მკოდნელთაგან, ერთი თანამედროვე გამოჩენილი იურისტი ა. თ. კონი; განთქმული განსაკუთრებით სასამართლო მქვერმეტყველებით ამბობს, რომ სახარება ყოველთვის ახდენს მახე გონებისა და გრძნობიდან აღმოუქმეულ გავლენას, და რომ სახარებაში ყოველწლობით ახალ შენეიერებას ხედავს და სახარების თითოეული სიტყვა, როგორც მისი პირადი ცხოვრება მიმდინარეობს ისე რომ სულ უფრო და უფრო ღრმა, გასაგებო, წმინდა და სასინარულო ხდება.<sup>3)</sup>

შესანიშნავი მოღვაწე ვეპილი ლ. ვ. სტასოვის მოგონებებში შემდეგი სტრიქონები გვხვდება: „5—6 წლიდან ყოველთვის ვკითხულობდი სახარებას და შემოიძლია ვთქვა, რომ ეს იყო უუძლიერესი შთაბეჭდილებათა და გავლენათა შორის, რომელნიც ჩემზე მოქმედებდნენ მაშინ (განსაკუთრებით 17 წლამდე) და შემდეგ შოიც“<sup>4)</sup>

პედაგოგებიდან ყველაზე წინ გავიხსენოთ მამა თანამედროვე პედაგოგისა პეტრალაცკი (1746—1827), რომელიც ფრიად მდილა აყენებდა ბიბლიას. თავის საწავლებლის შესახებ 1807 წლის ანგარიშში პეტრალაცკი ამბობს ბიბლიის აღმზღდლობითი მნიშვნელობაზე: „ყველა უფრო მოზრდილი მოწაფე ყოველკვირა ორგზის სწავლობდა განსაკუთრებით სარწმუნოებას. სახელმძღვანელოდ

ქონდათ საღმრთო წიგნები მოსესი, სადაც აღწერილია მსვლელობა კაცობრიობის რელიგიურ განვითარებისა, და მათზედ დაფუძნებული წმინდა სწავლა იესო ქრისტესი, როგორც იგი გვაძნო მან სახარებაში. მოვლელობათა შესახებ სწავლის ჩვენ საფუძვლად უდებდით იესო ქრისტეს ქადაგებას მთიდან, ხოლო სარწმუნოებაზე სწავლას—უშთავრესად ითანეს სახარებას. ეს ყველაფერი იკითხებოდა ერთიმეორისთან, და საუკუნო ქეშმარიტებანი ქრისტესნი ღმერთზე, თავისთავზე, როგორც განხორციელებულ ღვთაებაზე, კაცობრიობის ღმერთთან დამოკიდებულებასა და ღმერთში ცხოვრებაზე—ყველა ეს ქეშმარიტება თავის თავად იხსნებოდა. ჩვენ ვცდილობთ ქრისტეს მგალითით და საგნებზე ადამიანებზე და მათს დამოკიდებულებაზე მხედველობის მისი წესით თვალსაჩინოდ განვაცხოველოთ ბავშვებში რელიგიის უტყუარ არსებაზე დაფუძნებული გრძნობა სარწმუნოებისა, სასოებისა და სიყვარულისა, ჩვეულებად ვაქციოთ ესენი და განვითარებით იგამალოთ მათი აზრი და საქმე იქამდე, რომ მით შორის ცხადდებოდნენ თვით ღვთაება“<sup>5)</sup>

XIX საუკუნის დიდებული ექიმ-ხირურის და პედაგოგის ნ. ი. პირაგოვის (1810—1881) დღიურში ვკითხულობთ: „მე მინდოდა განყენებითი იდელი სარწმუნოებასა. მოვკიდე რა ხელი სახარებას, რომელიც ჯერ კიდევ არასდროს თითონ არ წამეკითხა, მე კი უკვე 28 წლის ვიყავი, — ვიპოვე ჩემთვის ეს იდეალი.“<sup>2)</sup> და ამის შემდეგ პირაგოვი თავის ზნეობითს ცხოვრებაში სამარმედ ხელმძღვანელობდა ახალ-აღთქმის ღვთის სიტყვებით.

ცნობილ პედაგოგს და მწერალს ვ. პ. ოსტროგორსკის (1840—1902) სურს. რომ სახარებას მიეცეს უპირატესობა ყველა საყმაწვილო საკითხზე წიგთა შორის. „ყველა ჩემ მიერ წაკითხულ წიგნების წინ, — ამბობს იგი, — ვაყენებ სახარებას რომელსაც ჩვენში, პირდაპირ რომ ვსთქვათ, იშვიათად კითხულობენ თავის თავად, საუკუნო არი ნდობით, და

<sup>2)</sup> Вѣра и Разумъ. 1901 г. № 9 стр. 578  
<sup>3)</sup> мнѣнїя русскихъ людеѣ о дучшихъ книгѣ для чтенїя,

<sup>4)</sup> томъ дре стр. 48.

<sup>5)</sup> V. Мовзалевскїй очеркъ исторїи воспитанїя и обученїя ч. 2, стр. 33—34



რომელსაც უფრო ნაკლებად აკვირდებიან, მხოლოდ მას ერთს, თავის შეუხებელ წმიდა მოძღვრებით შესახებ სიმშვიდისა და სიყვარულისა, ადამიანობისა, მხოლოდ ერთს შეუძლია დააწესოს სემთვისე შულში წესიერი დამოკიდებულება ღმერთთან და მის დიად მცნებებთან კეთილსაქმესთან შერთებულ სარწმუნოებით ცხოვრებისა.“<sup>1)</sup>

ფილოსოფოსთაგან აქ პირველ ალაგზე დაეყენებო ახალ დროის შესანიშნავ ფილოსოფოსს იგმანუალ კანტს (1724—1804). კანტის აზრით ბიბლია უკეთესი საშვალეა დასაცვლად სარწმუნოებისა, რომელიც კემპარიტად აკეთილებს ადამიანთა სულს. საშვალეა ამ მიზნისთვის მარად საკმაო და არა მხოლოდ თავისი დროისთვის. ამისთვის იგი არასოდეს არ ძღვედა თავის თავს ბიბლიაზე დაცივის ნებას და ბიბლიის ღირსება ოდნავდაც შესუსტაკლა არ მიანდა უსარგებლო და ზეროვან თავდასხმათაჲს. «შეუძლებელად მოუაწნია, აშობოს კანტი, — რომ თამამ ბრძენებმა, რომელნიც ფიქრობენ, ვითომ აწ უკვე გაუსწრეს იმ ბიბლიას, რომელიც ჩვენ გვაქვს და რომელიც ხელმძღვანელია ეკლესიურ სარწმუნოებისა, სხვა შექმნან და დაეყნონ მის ადგილას, მას რომ ნღობა დაუკარგონ. ცხადი სასწაული არ ხდება მეორეჯერ ერთსა და იმავე საქმეში.»

ინეგზბურგელი ფილოსოფოსი ულრმესად პატივის სცემდა სახარებას. ერთს თავის ნაცნობს იუნგშტილილინგს ის სხვათა შორის სწერდა: «ქარგათ იქცევით, რომ განსვენებას სახარებაში ეძებთ, რადგანაც ის არის დაუშრობელი წყარო ყოველ კემპარიტებისა, რომელიც სხვაგან არსად იპოვება, თუნდაც გონებამ გამოიკვლიოს მთელი თავისი ასპარეზი».

«დაეთანხმებით, — აშობოს კანტი, «იაკობი» — სადმი წერილში, — რომ სახარებას არ

ესწავლება უმწვერვალესად — წმინდა საყოველთაო ზნობითი კანონები, გონება დღემდეც ვერ მიადწევდა მათ ასეთი სისრულით“ ერთი ახალ-გაზდა ღვთის მტკველი უჩივდა შესანიშნავ ფილოსოფოსს ფიტცეს (1762—1814), ბევრი არ მესმის შენს თხზულებებში და ვერ ვითვისებო. ფიტცემ დაადო ხელი მის წინ გახსნილად მდებარე იოანეს სახარებას და უთხრა: «იკითხეთ სახარება იოანესი; მასში იპოვით ყველაფერს, რაზედაც მე ვაზრობ. შეუდევით მას!».

ალბ. რევილი, წარმომადგენელი საერანგეთის ახალ რაციონალიზმისა, თავის სტატიას ე. Revue des deux mondes-ში ათავებს შემდეგი შევნიერი სიტყვებით: „ბიბლია რჩება იგივედ, რაც არის იგი ნამდვილად, სახელდობ, დაურღვეველ ძველად ჩვენი რელიგიურ წარმოშობილებისა და უკეთეს საზრდოდ გონიერ კეთილმსახურებისა. უმეტესად სახელდობ მისგან წარმოსდგება ახალი ქვეყანა. არასოდეს ბიბლიის წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული უფრო განფიცებული და მწვევე კრიტიკა, როგორც ჩვენ დროში, მაგრამ არასოდეს მისი გავლენა არ ყოფილა უმეტესი და გავრცელება მისი უმოქმედესი“.

იმავე სტატიაში რევილი კიდევ შემდეგს მოგვითხრობს: ერთხელ შესანიშნავ პირთა კრებაზე აღიძრა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ წიგნს ამოირჩევეს სამუდამოდ დატუსაღებული, ნება რომ მიეცენ იქონიოს თავისთან საბატბროში მხოლოდ ერთი წიგნი. კრებაზე იყენენ ფრანგნი, პროტესტანტები, ფილოსოფოსები და აგრეთვე მატერიალისტებიც, მაგრამ ყველამ ასეთ წიგნად მხოლოდ ბიბლია აღიარა“.

დიდი მოაზრე, უკრაინელი ფილოსოფოსი გ. ს. სკოვოროდა (1722—1794) ულრმესი პატივისცემით ექცეოდა ბიბლიას და რაც ქვეყანაზე წიგნი, ყველაზე უმაღლესად აფასებდა მას. თანამედროვე სკოვოროდასი გუსტავ გესს-დე-კალფე მოწმობს, რომ სკოვოროდა არასოდეს არ იშორებდა ებრაულს ბიბლიას, რომელიც შეადგენდა თითქმის

<sup>1)</sup> Сочинения Пирогова, т II спб. 1900 стр. 181.

<sup>2)</sup> мнѣнія русскихъ людей о лучшихъ книгахъ для чтенія изд. Ледерле стр. 97.

მთელს მის ქონებას. თავის წვრილში მეგობართადმი უკრაინელი ფილოსოფოსი ხშირად ლაპარაკობს თავის სიყვარულზე — უუწოდესი ბიბლიისადმი\*. ბიბლიის უკეთ გასაგებლად მან თითქმის შესწავლა ებრაეული ენა. რავედნადაც ეს შესაძლებელი იყო მისთვის. 8)

სკოვოროდა მუდამ ეამს სწავლობდა ბიბლიას, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ეს წმიდა წიგნი პასუხს იძლევა კაცის სულის ყველა მაღალ კითხვებზე.

ერთს თავის თხზულებაში სკოვოროდა ბიბლიის უფორებს „ჩვენ დედა“-ს 9), ხოლო იგამი: „ბუღბუღი, ტოროლა და შაში“, იგი ამბობს: „ბიბლია არის ჩვენი უზენაესი მეგობარი და მოყვასი, მიყვებით მასთან, რაც ერთად ერთი უძერფასესი და უსაყვარლესია, იგა სვენთვის წინაპართაგან დატოვებული აღთქმა, შემცველი კეთილ-მოქმედებათა საუნჯისა“ 10).

აგრეთვე ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და პუბლიცისტი გ. ს. სოლოვიოვი (1853—1900) საფუძვლიანი მცოდნე იყო ბიბლიისა, ძველი აღთქმისა ებრაულ დედნით და გულწრფელი მოწიწებით უყურებდა ცხოვრების წიგნს, განსაკუთრებით ახალ-აღთქმას. მას მიაჩნდა წმიდა სახარება ერთად ერთ და შეუნაცვლებელ ლამზრად კაცობრიობის ცხოვრებისა, და მისი ერთი უდიდესი მკნებათაგანი ასე ამბობს: „თუ ეჭვი გაწუხებთ როგორ მოიქცეთ ამა თუ იმ შემთხვევაში, ყოველთვის დაუყენეთ თავის თავს კითხვა: ქრესტე მოიქცეოდა თუ არა ისე, როგორც თქვენ გსურთ მოიქცეთ?!“ 11).

წარმომადგენელი როგორც უცხო, აგრეთვე რუსულ ლიტერატურისა, ბლომა მასა-

8) Сочинения Г. С. Сковороды, собранные и редактированные проф. Д. И. Багалъемъ.

9) „Дружеский разговоръ о душевноиъ мирѣ“ стр. 146.

10) Сочин. Сковороды II отд. стр. 174. იხილეთ სტატია М. Краснюка: „религиозно философскія воззрѣнія Сковороды“ вѣ. ж. „Вѣра и разум“. 1890 г. № 16.

11) Воскресный Благосѣть, 1906 г. № 83, стр. 9—10.

ლას იძლევიან ჩვენ მიერ დაყენებულ საკითხზე. მოვიხსენიოთ ზოგი მათგანი.

გენიოსი ფრანგი **ჟან-ჟაკ-რუსო (1712—1778)**, ერთი უუმჯებრეტესი და მოხიბვლილი მეწარლთაგანი თავს უკეთესსა და უსახელოვანეს ნაწარმოებში: „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“ შემდეგს მოწმობას იძლევა სახარებისა და ქრისტეს შესახებ: „აღლიარებ, —სწერს იგი,— ფრიად მაკვიფრებს სილიადე საღმრთო წერილისა და ჩემი გული გრძობს სახარების სიწმიდეს. რა არააოზას წრმოადგენს ფილოსოფიური თხზულებები, მიუხედავად მთელი მათი ბრწყინვალეებისა, საღმრთო წერილთან შედარებით! შეუძლია თუ არა რომელსამე სხვა თხზულებას, ჩვეულებრივ ადამიანის ნაწარმოებს, ასე ამაღლდეს ესოდენ მოკლე ხნის განმავლობაში! განა შესაძლებელია, რომ ის, ვიზედაც მოგვითხრობს წმ. წიგნები, უბრალო ადამიანს არ აღემატებოდეს? ნუ თუ ამ წიგნებში გვესმის ხმა მეოცნებესი ანუ პატივის მოყვარე მწვალებელისა? რა შევნიერებდა, რა სიწმიდეა მის არსებობაში! რავედენი მომიხიბვლილი სიყვითლეა მის მოძღვრებაში! რა სიმაღლეა მის მცნებებში! რა სიღრმეა სიბრძნისა მის სიტყვებში! რა გამსჭვრეტელობა და სიამოლთა მის პასუხებში! როგორი მფლობელობაა თავის ვნებებზე! სად მოიძებნება ადამიანი, ბრძენი, რომელსაც შეეძლოს ასე მოქმედება, ტანჯვა და სიკვდილი ისე რომ არ გამოიჩინოს სისუსტე და მედიდურობა?.. დიდი, თუ სოკრატი ცხოვრებდა და მოკვდა, როგორც ფილოსოფოსი, იესო ქრისტე ცხოვრობდა და მოკვდა, როგორც ღმერთი.“

განა შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სახარების ისტორია ვითომ გამოგონილია? ასეთი საქმე, ჩემო საყვარელო მეგობარო, არ გამოგონება. სოკრატის ისტორია (ამის ეჭვი არავის აქვს) ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე ისტორია იესო ქრისტესი. წინააღმდეგის მტკიცება კითხვის არსების განზე გაწევაა და არა ახსნა.

ჩვენი გონება უფრო თანხმდება იმას, რომ ერთმა პირმა თავისი ცხოვრებით ნამდვი-



ლად მოგვცა შინაარსი სახარების ისტორიისა, ვიდრე იმ მოსაზრებას, რომ ვითომ რადნიმე პირნი შეითქვენ და შეთხზეს ასეთი ისტორია, ებრაელ მწერლებს არ შეეძლოთ გამოეგონათ ასეთი კილო და არც ასეთი ზნება. სახარებას აზის ისეთი მალაღი, საეკრველი და სრულიად მიუხაზველი კვალი სიბრძნისა, რომ გრიომოგონი უფრო მეტი განკვირვების ღირსი იქნებოდა, ვიდრე გმირი. ყველა ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ სახარება სრულიად მიუწოდებელი ნივთია, რომელსაც გონება ვერ წვდება, მაგრამ ამავე დროს ისეთი კი არაა, რომ არ გაეგებოდეს მოაზრებადამიანი და ვერ ეთანხმებოდეს“.

შესანიშნავს ნემეც კრიტიკოსის და დრამატურგს ლესსინგს (1729—1781), რომელიც კაცობრიობის მთელ ისტორიაში ხედავდა ღვთის მსოფლიო გეგმას, ახალ აღთქმის წერილნი ბიანდა „უკეთეს წიგნად“ კაცთა ნათესავისათვის და ამხილებდა თანამედროვე თავისუფალ-მოაზრებებს, რომელთაც სახარებას ქეშ-მარტება დაძველებულად და უსარგებლოდ შიანდათ.

სახარების გარდაამკიდე კრიტიკოსთა წინააღმდეგ ლესსინგი სხვათა შორის სწერს: „თუ კი ჩვენ ასე თავისუფალად და კეთილშობილურად ვექცევით ლივიოსს, დიანოზს, პოლიბიოსს და ტაციტს და არ ვტანჯავთ მათ თითოეულ მარცვლისათვის, რად არ ვექცევით ასე მათეს, მარკოზს, ლუკას და იოანეს?!“.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს პარიჟში შედგა საზოგადოება. მას ეკუთვნოდენ მაშინდელი ცნობილი ურწმუნოები. ისინი იკრიბებოდენ ყოველ-კვირას, რათა, როგორც თვითონ ამბობდენ, გამოემეჯანათ უთავბოლო ლაპარაკი ბზბლისა, და შემდეგ სასაცილოდ აცლოთ იგი. ერთხელ, საღამო ეამს ეს პირები შეუდგნენ თავიანთს არასაქებს მუშაობას. აქვე იყო დიდრო, ერთი უგავლენიანესი მწერალი, (1713—1784 წ) მაგრამ მათს ბა-ასში არავითარს მონაწილეობას არ ღებულობდა, აქამდე კი XVIII საუკუნის სხვა ღვთის მგმობართ არ ჩამოუყვარდებოდა. როცა საე-

შმაკ მიზნით ხმალოლა წაიკითხეს რავდენიმე ნაწყვეტი სახარებიდან, დიდრო უტეხ წამოდგა და უჩვეულო სიღინჯით დაიწყო: „ბატონებო! ამ წიგნის შესახებ გულახდილად და სრული სიწმფელით აღვიარებ, რომ მე არ ვიცი არც სეფარანგეთში და არც სხვაგან სადმე მთელს ქვეყანაზე არც ადამიანი, რომელიც ლაპარაკობდეს და წერდეს მეტი ხელოვნებითა და ნიჭიერად, ვიდრე ის მეთევზენი და მეზვერენი, რომელთაც სახარება დასწერეს. ვკანდიერობ დავამტაკო, რომ ვერც ერთი ჩვენგანიც ვერ დაწერს მოთხრობას, თუნდ მსგავსს სახარებისა, რომელიც იყოს ასე უბრალო და ამავე დროს მაღალი, ასე ახალი, ასე აღმძვრელი, ქანდეს ასეთი ძლიერი მოქმედება სულზე და მოუუძღურებელი გავლენა მთელ საუკუნეთა განმავლობაში, როგორც არის ჩვენთვის თითოეული, ცალკედ აღებული, თითქმის უბრალო მოთხრობა სახარებისა იესო ქრისტეს ენებათა და სიკვდილის შესახებ“. როცა დიდრომ გაათვა ლაპარაკი, ოთახში, სადაც ეს არის, რაც სიცილი გაისმოდა, ერთბაშად საერთო სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ იგრძნო დიდროს ნათქვამის სიმართლე და ამის მეტიც კიდევ რაღაც იგრძნო; დამსწრენი მდუმარედ წავიდ-წამოვიდნენ და კრება დაიშალა. ამის შემდეგ ზემოდასახელებული საზოგადოების მთლიანობა სრულიად დაიწრა და მოისპო.

თ. შწირი.

# მოდკ.

(დასასრული)

არა მგონია, სხვა რომელიმე ტომის ხალხში მეუღლეობის, ცოლ-ქმრობის კავშირი ისეთს მტკიცე საფუძველზე მდგარიყოს როგორც ჩვენ ქართველებში. ჩვენში მეუღლეობას ავგირგვინებდა კურთხევა ღვთისა და მცნება ჩვენის უწმიდაესის სჯულისა: „რომელიც დმერთა შეუუღლა, კაცნი ნუ განაშორებენო“, შეუღლებულნი იმ რწმენით იყვნენ



გამსკვალუნნი, რომ მიველ თავის სიკოცხლელში შეადგენდნენ ერთი მეორის ღვთის მიერ შეუღლებულ განუყრელ ამხანაგს, ლხინსა და ქირაში ერთ სულ და ერთ გულ არსებებს წამხელურობამ ლამის აქაც თავისი დადი დაგვასვას... აქაო და ევროპიელი კოლ-ქმარნი ქორწინებას არღვევენ, ერთმანეთს შორადებიან, ერთი აღთას გარბის და ეკურკურება მეორე საქმროს და მეორე ბალთას, მეორე საცოლოსო;—ეს უთუოდ რადგან ევროპაში ხდება, დიდი განათლების ნაყოფი უნდა იყოსო, და ჩვენიაც აქა-იქ იჩინათავი ამ საქციელმა...

რალა თქმა უნდა, ასეთი საქციელი, ასეთი წესი, რაც უნდა მაიღო კულტურულ განათლების სახელით იყოს მონათლული, მაინც წასაბაძავი და შესათვისებელი არ არის, რადგან ასეთი გეგმა მეუღლეობისა უარყოფილია ჩვენი ბრძნული და სპეციაკი სჯულისაგან, დამარღვეველია ოჯახის ხანგრძლივის ერთობისა და ზნეობრივ სიწმინდისა. განა შეიძლება დღეა მიწის ზურგზე იქნეს ისეთი კოლ ქმარი, რომ ქმარმა თავის კოლზე უშენიერესი ქალი ვერ ნახოს, ან კოლმა თავის ქმარზე უკეთესი კაცი?—მაშასადამე ხომ ვათავდა ოჯახის მეთაურთა ერთობის სევაბედი; ეს გარემოება საქაოა გასწყვეტოს მეუღლეობის კავშირი, და დაარღვიოს ოჯახის ერთობა, ოჯახის კერა და სხვა...

არც ის მგონია, რომელიმე ხალხს ქრისტეს მოძღვრება ისე შეეგნოს, ქრისტეს სარწმუნოება ისე შეეტკობოს, შეეისხლ-ხორცეობიოს და იმდენი მსხვერპლი შეეწიროს, ინდენი სისხლი დაედვაროს მისი დაცვისა და შენარჩუნებისათვის, რამდენიც ქართველ ხალხს.

მეთოხე საუკუნეობამ დაწყებული მეცხრამეტემდის ქართველი ჯრი, შეზრდილი ნაცხოვრის მოძღვრების სიმაღლე სიდიადეს, შეურყევლად იცავდა თავის ბრწინავლე სჯულს და ახორციელებდა თავის ცხოვრებაში სახარების მხილვას. არა თუ ნიეთიერ ავლა დიდებას შურავდა ქართველები მაცხოვრის ტაძრის შესაწირავად, მის აღსაშენებლად დასამ.

შვენებლად, თვით თავიანთ სიკოცხლესაც კი სწირავდნენ მსხვერპლად მის შეურყევლად დაცვას. ჩვენს ერის მეთაურნი გვირგვინოსანი მგეფე—ღვდლოფილი, უმაღლესნი იერარქნი, მთავრები და სხვა მაღალ ხარისხოვანნი მამულის შვილები მოწამებრივი სიკვდილითაც კი ისპობდნენ სიკოცხლეს თავის რჯულისა და ეკკლესიის შეურყევლად დაცვისათვის და სხვა... ეხლა? ეჰ... ეგ რალა საკითხავია... მოდამ, წამხელურობამ სარწმუნოების მხრითაც ბევრს ჩვენგანს გადაახვევია თავის წინაპრების ღვთის სათნო კეთილი გზიდან. აღარც ამ სფერაში ვგავართ ჩვენი წინაპრების შთამომავალთ. აქაო, და საფრანგეთის მთავრობა სცილდობს ეკკლესია განაშოროს სახელმწიფო შენობის აგებულობიდან, უნდა თავიდან მოიშოროს იეზუიტთა ორდენის თავყვანის მცემელი სასულიერო წოდების კონგრეციებიო; აქ ჩვენ ქართველებს წასახედავი რა გვაქვს?! საღ იეზუსტები, საღ მათი კონგრეციები, და საღ ქართველი სამღვდლოება?! პირველი ემსახურებოდა თავის პირად სარგებლობასა და დიდების მოხვეჭის მიზანს, აბრძავებდა გონებრივად ხალხს; ხოლო მეორე ემსახურებოდა თავის საწესქოს ქრისტიანულ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ ამბოღობისა და განვითარების, გათვითცნობიერების საქმეს. მაგრამ მიუხედავად განურჩევლად ამისა, ჩვენში ბევრმა გული გაიგრილა ჩვენს ღირსეულ სასულიერო წოდებაზე და აღარა სწამთ რა მათი... ეკკლესიების გამშვენებასა და მის მსხვერპლის შეწირვაზე რალა უნდა ვსთქვათ, როდესაც ჩვენ ქრისტიან წინაპრებისაგან შეწირულ საუნჯესაც კი ვართმევთ ჩვენს დედა ეკკლესიებს. აქაო და რუსეთში ვაზაკებმა ყაზანის ტაძარი გაძარცვეს, გაიტანეს იქიდან ძვირფასი ნიეთებიო, და ხომ გცხსოვთ, ჩემო მკითხველო, ჩვენმა იუდეებმა მიიტანეს იერიში ჩვენი ერის საერთოდ სადიდებელ მონასტერ ეგლათზე და წმიდა ქურკლებიც კი აღარ დასტოვეს გაუტაცებელი... მაგრამ ეკკლესიების და მონასტრების გაძარცვაზე, უარის ყოფასა და შეგინებაზე რალა უნდა ვსთქვათ,

როდესაც ბრმა მიმბაძველობამ, უგუნურმა წამხედურობამ ჩვენში ისეთი უკიდურესი ათეისტებიც კი გამოიჩინა, რომლებმაც ქვეშაირი მღვთაება, დაცემულ კაცობრიობი მკვდრებით აღმდგენელი, სულიერად უკვდავების მომანიჭებელი, ნათელ-მოსილ სჯულის მომცემი მაცხოვარი კაცობრიობისა, ძე ღვთისა, ბეჭდვითი სიტყვით ვიღაც რომაელ პატიონის იოსებ პანდერას ბუშად გამოაცხადეს!!! (ღმერთო მოვიტყვევო...) ჩვენ აქ მხოლოდ რამოდენიმე ფაქტი აღვნიშნეთ იმისი, თუ რას უფრო ხედავს და ითვისებს უცხო ხალხების ზნე თვისებებში, ცხოვრების ორგანიზაციიდან უმეტესი ნაწილი წამხედურობის გზაზე დამდგარ ჩვენ მამულისწვილებს; მაგრამ ამით მაინც არ ელევით სრული საფუძველი ჩვენი ეროვნული სიცოცხლის წინააღმდეგ მგომართ სულიერად აღფრთოვანდენ და დაიშლენ მათ, რომ შიახსიყის თავიანთ მიზანს, ხოლო კელილის მყოფელთა ჩვენთა სულიერად დაბლოვიარდენ, რადგან მღვთის მადლით ჩვენ კიდევ ბლომად გვეყვანან ისეთი შეგნებულ მამულიწვილნი ორთავე სქესისა, რომლებთაც განათლებულ ხალხების კულტურის ბაღიდან ძეძვის ნერვი კი არ ვაღმატესთ, არამედ ნამდვილი ვაზის ნერვი. დიახ გვეყვანან ისეთი საერო ოჯახის შვილები ქალნიც და კაცნიც, რომლებიც შესაფერი მემკვიდრენი არიან თავიანთ სახელოვან წინაპრებისა, რომლებიც თავიანთ ეროვნულ წიდადგზე სდგანან, თამარის ენით ლაპარაკობენ,—რუსთაველის ჰანგით გალობენ, მისივე მადლიანი კაღმით სწერენ; ქეთევანის ზეაღმტაცის სასოგებით ლოკულობენ, მაცხოვრის ეკლესიაში და სხვა... მაგრამ, ვინც არასაიმედო გზაზე დამდგარა, მაინც სასურველია ჩვენთვის მათი უკან დაბრუნება და კეთილსარგებლობის მომცემ გზაზე დაყენება. გვერდში ამოდგომა მათ მოწალმართე მამულიწვილთან. მამ გულახდილად პირდაპირ მხილება მათ, მხრლება; ძრახვა საძრახისია...

ქაიხოსრო გლოვანი.

### ბ. გ. რაბაქიძის ლექცია:

7 ამ თვეს ცნობილმა ლექტორმა გ. რაბაქიძემ ქ. ქუთაისში წაიკითხა საჯარო ლექცია შემდეგ საგანზე: „ნ. ბარათაშვილის სულიერი დრამა.“ ლექტორმა ღრმად ჩაგვახედა პოეტის სულში და ცოცხლად წარმოგვიდგინა მისი სულიერი ბრძოლა ესბოძოლსწარმოებ არარაობისა და მარადისობის წიდადგზე პოეტი ერთის მხრით ხედავს წუთისოველის ამოვებასა და არარაობასა და ვერ წერივებია მის მუხთლობას; ვერ უბოვნია წიდადგა მოღვაწეობისა და თავგანწირულებისა; წარმავლობა ყოველივე იმისა, რასაც შეიძლება აღმაინაზნებინებოდა უწოდოს, გულს უწულებს პოეტს აობლებს მის სულს და უმწარებს სიცოცხლეს. მეორე მხრით ეს სულიერი ბრძოლა ეს, სულიერი ობორობა და მარტოობა უფრო მწვევდება ღღრმავდება, როცა სული ამოვებისა და არარაობისა უწამლავს პოეტისმის უკმასკნელ ნავსთსაყუდელს—„უაწვილის ბრმა სარწმუნოვანს.“ ამის შემდეგ პოეტი მიღობს ჰკარგავს წიდადგს. „სულით ურწმუნო, გველით უნდო“, რაღა კაცია, რის მაქნისია, რაღა მიზანი აქვს მის სიცოცხლეს?! მას ადგელი ადარ აქვს, მის არსებობას გასამარტოებელი საზუთი არ მოეძებნება და ამიტომ პოეტს უნდა მოშორდეს ქვეყნიერებას, უნდა საღდაც გადიხეწოს, გადიკარკა არარად იქცეს.

აქ ვხედავთ პოეტის სულის უმაღლეს ობლობას. აწყო—არარაობა და ამოვება, მყობადი—უწუდგეშო და უიმიდო! ძნელი გადასატანი ასეთი მდგომარეობა და პოეტმაც ხომ ვერ გადიიტანი!...

მაგრამ ყველას ვერ სძლებს სული ამოვებისა და არარაობისა. ბევრი გამარჯვებული გამოდის ამ ბრძოლიდან. ისენი ის რჩეული პირები არიან, რომელთაც შეიგნეს აღმაინის დანიწუნულმა მომავლისათვის, მომავალი ცხოვრებისათვის. ამოვების, და არარაობის სულმა ვერ მოხიბლა მაც, ქრისტე; უკანასკნელმა უარყო ყოველივე ქვეყნიური და ზეცა აღიბრა აღმაინის შესაფერ მიზნად. და ეს არის



დღესაც ის ძალია, რომელსაც შეუძლია შეუმსუბუქოს ადამიანს ის ეკლიანი გზა, ის გოლგოთის ჯვარი, რომელსაც სიცოცხლე ეწობება.

არ შეგვიძლია დანაშაულობად არ ჩავუთვალოთ ბ. ლექტორის მაჩანჩალო აზრების წინ ქედის მოხრა და ამ აზრების ყურმოკრილ მონგების წინ შიშ და მოკრძალება. ქეშმარიტება რის ქეშმარიტებაა, თუ მთელი თავის სიმწვეავით არ გამოითქმის; ქეშმარიტების მქადაგებელი რის მქადაგებელია, თუ ვისმე ან რისამე ხათრი და მორიდდება აქვს. „მე არ გუუბნებთ თქვენო, სთქვა ლექტორმა, და არც ვთხოვთ ქრისტე ღმერთ კაცად იწამეთო; წარმოიდგინეთ იგი, როგორც სიმბოლიური გამოხატულება ამოების მძლე ძალისაო“ (აქ ლექტორის აზრიჩვენი სიტყვით მოგვეყვას) სიმბოლიური გამოხატულება! მერე ვინ დავგისატა ასეთი სიმბოლო? მეთევზეებმა გნა, რომლებსაც ბადის და ნავის მეტი თავის დღეში არა ენახათ რა? იბუნეი და სხვა განათლებული თანამედროვე სიმბოლორტები სავსებით ვერ ასრულებენ თავის როლს და უვიცმა მეთევზემ კი ასე მარტივად, ასე სავსებით და უნაკლულად განახორციელა დიდებული აზრი დიდებულივე ფორმაში? დაუჯერებელია. თანამედროვე განათლებულ რომანისტებს სიყვარულის გამოხატველი სიმბლოდ ვერაფერი უპოვნიათ, გარდა სქესებრივი ლტოლიღეებისაგანა ჭსათქმელია, რომ ქრისტე, ეს ხორცშესხმული სიყვარული, უვიც ებრაელის გამოგონილი სიყვარულის სიმბოლო იყოს? რა თქმა უნდა, ბ. ლექტორს არ სწამს ასეთი სიმბოლოება ქრისტესი ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ იესო ქრისტე ისეთივე ღმერთ კაცი არ არის მისთვის, როგორც ჩვენთვის პირადად, ისტორიული პირი მაინც არის და ეს ქეშმარიტება მის ასე შიშვლად უნდა აღეარებია, მიუხედავად იმისა, თუ რას იტყოდა დამსწრე საზოგადოება; და მით უფრო უნდა აღეარებია, რომ მის, ქრისტეს ღმერთ-კაცობას, მის არსებობას ახლო დამოკიდებულება ჰქონდა ლექტორის აზრთან შესახებ მარადისობისა, საზოგადოდ

თავისუფალ, თვისმოქმედ მოაზრეს არ შეფერის მოაზრულ აზრების რიდი. ესეთივე იყო ლექტორის მდგომარეობა, როცა იგი რომელიმე რელიგიურ მოღვაწეს უჩვენებდა თავის დედა აზრის განსამარტავად. რა საბოდიშო გვაქვს აქ ვისთანმე? თუ არის მარადისობა (და რომ არის ამას ამტკიცებს ადამიანის დაუქმყოფილენელი სულის კვეთება), არის უთუოდ დამოკიდებულობა სამარადისოსა ჭწარმავალობის შორის, ღმერთსა და ადამიანს შორის. და თუ არის, რა გასაკვირვებელია, რომ მოსემ ს.ნ.ს მთავრ სჯული მიიღოს და ღმერთი განხორციელდეს. რა არის აქ საბოდიშო ან საჩიდალი. ქეშმარიტებას არ ეშინია არავითარი საზოგადოების მსოფლმხედველობისა იგი სდგას შეურყეველად და იდგომება მაშინაც კი, რომ მთელმა ქვეყნიერებამ უარბყუს; ასეთივე დარჩება იგი სამარადისოდ, ხოლო მის უარბყუფელ ქვეყანას კი მოეფინება სული არარაობისა, ამაოებისა, სიყვდილისა და განადგურებისა. „იკანთ ქეშმარიტება, სთქვა თვით ქეშმარიტებამ, და ქეშმარიტება განგათავისუფლებს თქვენ.“

ხელი.

**მემოგბარს იასონ კ — ძმს.**

ამერიკის ქართველ ხიზანს ანგარიშს ვთხოვ მემოგბარი; — ნათლით მბრწყინავ ქვეყანაზე მენატრება საუარა.

იმ ტკბილ მზარეს განათლება ისე ესმისთ, როგორც ჩვენებას?! ან სამშობლო ისე სწამთ მათ ვით ხანე წამხლარ ჩვენ ყმ წვალებს?! —

თუ იმ მზარეს მუდამ ატკობოს სასუფევლის ნეტარება, მტკიცედა აქვსთ შენახული ზნეობა და ქრისტეს მცნება? —

იმით მოძღვრებს, როგორც ჩე ნებს,  
გულეებს უღრღრის მძულვარება?!  
და არა სწამით სულით მდებლვებს  
ქვეყნისთვის ქველ-მოქმედება?!

—  
თუ მით ქრისტეს მოციქულად  
ილიარეს მტკიცედ თავი  
და შესწირეს თავის სამწყსოს  
მათი საზრდო და სახნავი?!

—  
ყველა ესე გვიამბე შენ  
ამერიკელთ გულწრფელობით,  
გაგვიმხნევე დაცემულნი  
შენის მოსვლით და სტუმრობით!

—  
რაც მიამბე სიტყვიერად  
გადაეცი სხვებსაც წვრილ,  
რომ ნათქვამით მიანიც დაესტებეთ  
იმ ქვეყნიურ ნეტარებათ.

1909 წ. 9 ოქტომბერი.

ივარიელი.

### მკირე შენაშენა ბ. რამზოლვას.

მატივერქულ რამზოლვას გადუთვალაერება  
შეცამტე საუყუნის ხელთ ჩაწერა ქართული კანდა-  
კები და ამ შენაერულ ექსურსიას იმ დასვენამ-  
დე მიუყენა იგი, რომ ძველი კონდაკები ენის  
სისწორით გაცილებით სკობიან დღევანდელ კონდაკს  
და ამის გამო უკანასკნელი უნდა შესწორდეს თანა-  
ხმად ძველი კონდაკებისთ. \*) ზი რამზოლვასკან  
აღნიშნული ნიმუშები შევადმიას და გასწირებისა:  
დღევანდელ კონდაკით დაშვებულია: „და ღირს  
შქვენ ჩვენ, შეუფო, კანდაკებით... ხადად  
შენა.“ შეცამტე საუყუნის კონდაკში წერებულა-  
„ხადად“ და რამზოლვად გვარქმუნებს ეს შეურ-  
დომელი ფორმა და ჩვენ სწორით ასე უნდა  
გამართლებეთ ამ სიტყვას და არა „ხადად“-სთ.  
მაგრამ ჩვენ სრულებითაც არ ვვთანხმებით ამ შემ-  
თხვევაში რამზოლვას. შორეულ საუყუნებში დაწე-  
რილი კონდაკისეთი განუსხდღერელი ნდობით ვერ

\*) იხ. „ზინ. საქ“. № 27. „რეცემეტ საუყუნის  
ხელნაწერ კონდაკებში განხილვის შედეგი.“

შეგზავდეთ, რომ მასში ხმარებულ სიტყვებში  
ლად შეუვადომულად მივიმჩნით. ყუელაფერს რომ  
თავი დაჯანთით, ის მანინ უნდა ვინდეთ, ვინ  
გადასწერს ეს კონდაკი, რნობილმა მოვინათარმა,თუ  
უბრალთ გადაწერა, რომელსაც შეეძლო, უნებლი-  
ეთ მანინ, რომელიმე ასის გამოკლებაც, მიმოტებაც  
და სხვა შევადომის ჩადენაც. მართა სიძველე ხელთ-  
ნაწერისა არ არის თავებში მისი დირსების მასა,  
ასე სუბუქად არ უნდა მოქცეულა ბ. რამზოლვას  
ამსთან სერიოზულ საკითხს მას ისტორიულად უნდა  
გამოერკეთა იმ ძველი ხელნაწერი კონდაკების  
დირსება, აგრეთვე აუცილებლად საჭირო იყო,  
აღნიშნა სხვ და რამდენჯერ არის ნახმარი ღმრსა  
„ხადად“ ამ ფორმით სადღობთა წერადაც ან  
რომელიმე ცნობილ მოვინათარის ქმნილებებში უ-  
მისით ბ. რამზოლვას განმარტება მოკლებულია  
დამარქმუნებულ ძალს.

ესლანდელ კონდაკში ვითხულობთ: „უშეტე-  
სად უოფლად წმინდას... ღვთისმშობლისა და მარ-  
დაის ქალწულისა მარამისა.“; ძველში წერებულა:  
„უშეტესად უოფლად წმინდას... ღვთისმშობლისა  
—მარადის ქალწულისა მარამისა.“ რამზოლვას  
მოსწიანს უკანასკნელი ფორმა და ბრძანებს: „რენ-  
ბანი: მღვთისმშობელი და მარადის ქალწული იხე  
მჭიდროდ დაკავშირებულია არან ერთი მეორესთან,  
რომ უშთავიდა მათი დაწერა შეერთებულია კერთ  
სიტყვიანებულად; ვადრე კავშირის „და“-ს ჩამატე-  
ბით. ღვთისმშობელი მარამი შობის დღესაც  
იყო ქალწული.“

სოფიზმებით ბურთაობა მეტია იქ. სადაც  
საჭიროა რკალური მკვლავთების მოყვანა! ხასს  
(ტირეს) სულაც არა აქვს ძველ მწერლობაში ის  
მიმარქვლიობა, რომელსაც ესეა ვაწერთ მას და არც  
თრ სართულიანი სიტყვიანობა ნახმარი უძველეს ნაწე-  
რებში. „ღვთისმშობელი და მარადის ქალწული  
მარამი“ თურმე იმას რთად გამოითქვამს, რამზო-  
ლვას შევადობლობით, რომ ქალწული მარამი  
ქრისტეს შობის დროსაც ქალწული იყო, არა, ასეთ  
აზრს მიიღებს მოყვანილ წინადადება მხოლოდ იმ  
შემთხვევაში. თუ კავშირის „და“-ს გამოკრთავით  
და მის ნაცვლად ვიხმართ ხასს. ასეთ გამმარტებას  
ვერ გაპართლებს ვერ ვითარი თილოლოდია.

ესლ ვამობთ: „და სულისცდა შენისთანა“,  
ძველ კონდაკში სწერათ: „სულისცდა შენისთანა“.

ს ა შ ა რ თ მ ვ ე ლ ო ს  
პ ა რ ლ ა მ მ ე ტ ი ს  
მ რ ო ჯ ე მ ო ლ ი  
ბ ი ბ ლ ი ო თ ე ა



რამზოლას მისწონს ძველ კონდაკში წერებულ  
და ბსნებს ხსლანდელი ფორმის შესახებ: „კეჭიარს  
, და „ს ორჯერ ვიტყვით ერთს და იმავე სიტ-  
ყვისთან თავში „და“ და ბოლოში „რცა“, ხოლო  
ეს ქართულ ენას არ უნდა შესაბამებოდეს; ვიტ-  
ყვით: იფნესაც მიეცა და არა „და იფნესაც მიეცა“,

სტეციალისტოა სკანდინავია არის, რომ ასე-  
თი განმარტება არ მიიღოს კაცმა „რცა“ მიმატებული  
სიტყვის ბოლოში უფველთვის „და“ს არნიშნავს-  
და ქართული ენის შეესაბამოდ ჟერ არავის უცნობა  
ასეთი ფრანკები:

შენც მირთვი და იფნესაც შეუნახე, შენც  
წამოდი და იფნესაც წამოთოდე, შეტეცატი ვარ  
და შენც. და სს..!

ესლანდელ კონდაკში დაბეჭდილია... მაგრამ  
არა, ასე რომ გაუფრთხილდები, ბ. რამზოლას წერილი  
მთლათ უნდა გადავტყდით და აქედან შეითხველის  
უხომო შეწყობის მერე არა გამოვარა. როგორც  
რამზოლას, ისე უფელას, ვისაც საეკლესიო წიგნების  
შესწობება სავნად ასუფიანძმურად გურნევი და ვითხოვთ,  
ან საფუძვლიანათ შეისწავლონ სამშობლო ენა ძველი  
და ახალი და ისე მატყონ ხელი საეკლესიო წიგნე-  
ბის სწორების, ან მთლათ დაუთხოვონ ამ მიმე-  
საქმეს, რომ ნაცვლად შესწორებისა, უფრო მეტად  
არ შეგებულადონ მამა-პატარა ტადმონეციში  
წიგნები. ნუ დაიფრთხილებ, რომ სდომითო წერილის  
წიგნების სწორება არ შეადგენს ხეუნი დროის მანდა  
და მანც მთავარ მითხონილებას. დღეს ქართველი  
ერი სარწმუნოებრივ რეეგს განიდას, დღეს ქარ-  
თველ ერს ეპეი აქვს შეპარული სარწმუნოების  
შეპარობებში, კრიტიკული თვალთ უფრებს  
სარწმუნოების უმთავრეს დოკუმებს, რელიგიოზურმა  
სკეპტიციზმა უკბინა იმის გულს და გონებას და  
განა ასეთ კარეშობაში მყოფნი წიგნების შესწო-  
რებისათვის უნდა ვიმტყრევედეთ თავებს? რაღას  
გვარგებს ქარტში, თუ სხალი დაგვარგეთ?

დირიტრას მამიდაშვილი.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამიდაშვილი,  
გამომცემელი იოსებ ლეშავა.

**განცხადებანი.**

**ღარიბეთა**

შემდეგი ბლანკები:

**კლირთვის უწყობაი**

ახალი ფორმისა  
თანახმად უწ. სინოდის ნაჩვენებ ნიმუშისა.

**კანტრაკტი**

საიეკლესიო მამულების იჯარით გასაცემად

**სავაჭრო ფურცელი**

(Торгов. листъ)

**ჯილდოს ფურცელი**

(Наградн. листъ).

**მოიკითხეთ**

იმერეთ. წმ. გიორგის სარწმ. განმ. „ძმობის“

**სტამბაუნი**

ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩაზე, ს. კირიშჩევის  
სახლი (გუბერნატ. კანც. ქვეშ).

**ვაგონალე**

**სამოღვაწელ და სალიაგონო**

**საგნებში,**

აგრეთვე სამსესე კლოხლოა

ეგზემენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კასაკოვის ქუჩა, № 17.